გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 99

2019 წლის 14 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.17.367, ს.კ. 66.54.21.421, ს.კ. 66.54.21.419), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/ნ 418471031) 2020 წლის 21 ივლისის №140 წერილის საფუძველზე, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ გორში, გორის ციხისა (ს.კ. 66.45.17.367) და გუდაბერტყას ტერიტორიის, სვენეთში მდებარე ფართების (ს.კ. 66.54.21.421 და ს.კ. 66.54.21.419) სარგებლობაში გადაცემა, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შემდგომი განკარგვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით, კულტურისა და ტურიზმის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბების, არსებული ტურისტული შესაძლებლობების გაუმჯობესების, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობის, ტურისტული პოტენციალის უკეთ წარმოჩენის და ვიზიტორებისთვის მძლავრი ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაეცეს ზემოთ ხსენებული უძრავი ქონება ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოთ გადასცეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/ნ 418471031), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) უძრავი ქონება, კერძოდ:

   ა) ქალაქ გორში, გორის ციხის ტერიტორია, 39798.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, საკადასტრო კოდი N66.45.17.367;

   ბ) სოფელი სვენეთი, 4329.00 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.54.21.421;

   გ) სოფელი სვენეთი, 6504.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N66.54.21.419;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე